

საიტის მოხმარების წესები

ვებ გვერდზე (www.Goldservice.ge) რეგისტრაციის გავლის წინ აუცილებელია გაეცნოთ შპს „გოლდსერვისის“ მიერ დადგენილ წინამდებარე წესებს.

მომხმარებლის მიერ რეგისტრაციის გავლა თავისთავად ნიშნავს შპს „გოლდსერვისის“ მიერ დადგენილი წესების სრულ აღიარებას და დაცვას. შპს „გოლდსერვისის“ მიერ დადგენილი წესების არ ცოდნა მომხმარებელს არ ათავისუფლებს ვალდებულებისაგან. შპს „გოლდსერვისის“ იტოვებს უფლებას თავისი შეხედულებისამებრ წაშალოს ან დაბლოკოს მომხმარებელი ან საერთოდ უარი უთხრას დარეგისტრირებაზე. გოლდსერვისის იტოვებს უფლებას თავისი შეხედულებისამებრ ფასიან მომსახურებაზე ნიბისმიერ დროს შეეცვალოს ღირებულება.

1. პირითადი პირობები

- 1.1 შპს „გოლდსერვისის“ არ არის არცერთი გარიგების ორგანიზატორი, თანამონაწილე, გამყიდველი ან მყიდველი. საიტი არის შუამავალი, რომელიც ეხმარება გამყიდველს და მყიდველს დაუკავშირდნენ ერთმანეთს.
- 1.2 შპს „გოლდსერვისის“ უზრუნველყოფს განცხადებების განთავსებას, რაც მომხმარებელს ეხმარება მისთვის სასურველი ინფორმაციის ადვილად მოძიებაში.
- 1.3 შპს „გოლდსერვისის“ არ ეკუთვნის საიტზე განთავსებული არცერთი განცხადება შესაბამისად არ ფლობს არანაირ ინფორმაციას პროდუქტის მდგომარეობის შესახებ.
- 1.4 განცხადებაში მითითებული ავტონაწილის ხარისხი, უსაფრთხოება, კანონიერება და აღწერასთან შესაბამისობა არ კონტროლდება შპს „გოლდსერვისის“ მიერ.
- 1.5 საიტზე განთავსებული ინფორმაცია ემსახურება კონკრეტული მომხმარებლის პროდუქტის რეალიზაციას ან სერვისის მომსახურებას.
- 1.6 ნებისმიერი ფიზიკური თუ იურიდიული პირი საიტზე პირად ინფორმაციას ანთავსებს თავისი სურვილით, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე.
- 1.7 საიტზე ინფორმაციის განთავსებელი ეთანხმება, რომ ინფორმაცია იქნება ღია და ნებისმიერ მომხმარებელს შეეძლება მისი ნახვა.
- 1.8 მომხმარებელი თავის თავზე იღებს ყველა რისკს დაკავშირებულს ამ ინფორმაციის გავრცელებასთან.
- 1.9 საიტზე განთავსებულ ინფორმაციას არ აქვს იურიდიული ძალა, მომხმარებელი ვალდებულია ნებისმიერი ფინანსური გარიგების წინ გადაამოწმოს ინფორმაციის სისწორე.

2. ვებ გვერდზე განცხადების განთავსება

- 2.1 გასაყიდი ავტონაწილის ან სერვისის მომსახურების შესახებ განცხადების საიტზე განთავსებისთვის აუცილებელია გაიაროთ რეგისტრაცია და დაეთანხმოთ შპს „გოლდსერვისის“ წესებს. (რეგისტრაცია უფასოა)
- 2.2 ვებ გვერდზე დარეგისტრირების დროს მომხმარებლის მიერ მინიჭებული პაროლი არის საიდუმლო, მის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებლობა ენიჭება თავად მომხმარებელს.
- 2.3 პაროლის გასხვისებით ან დაკარგვით მიყენებულ ზარალზე პასუხისმგებელია თავად მომხმარებელი.
- 2.2 დარეგისტრირებული პირებისთვის ვებ გვერდზე განცხადების დადება როგორც ავტო ნაწილებში ასევე სერვისის მომსახურების კატეგორიებში ფასიანია.
- 2.3 მომხმარებელს არ აქვს უფლება საიტზე განთავსოს განცხადება, რომლის შინაარსიც ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას.
- 2.4 განცხადების განთავსებით მომხმარებელი ადასტურებს, რომ მას აქვს განცხადებაში მითითებული ავტონაწილის გაყიდვის უფლება.
- 2.5 მომხმარებლის მიერ განთავსებულ განცხადებებში იკრძალება არაკანონიერი, ამორალური, შეურაცყოფის შემცველი ტექსტები, წინააღმდეგ შემთხვევაში გოლდსერვისის იტოვებს უფლებას გათიშოს ან დაბლოკოს მომხმარებელი.

3. შპს „გოლდსერვისის“ უფლებები და მოვალეობები

- 3.1 შპს გოლდსერვისი არ არის არცერთი შეთანხმების თანამონაწილე და არ არის პასუხისმგებელი არცერთი მომხმარებლის ქმედებაზე. ყველა მოლაპარაკება დგება უშუალოდ მყიდველსა და გამყიდველს შორის. შპს გოლდსერვისი არის უზრალოდ შუამავალი, გოლდსერვისის მომსახურება (შუამავლობა) არის ფასიანი.
- 3.2 შპს გოლდსერვისი არ აგებს პასუხს საიტზე განთავსებული ინფორმაციის სიზუსტეზე.
- 3.3 შპს გოლდსერვისი არ იძლევა იმის გარანტიას, რომ განცხადების განმთავსებელი პირის საიტზე მოცემული მონაცემები დაემთხვევა მის რეალურ მონაცემებს.
- 3.4 შპს გოლდსერვისი არ გასცემს გარანტიებს მომხმარებელთან დაკავშირებულ მომსახურებაზე, არ გასცემს გარანტიებს, რომ მომსახურება იქნება უშეცდომო და უნაკლო.
- 3.5 შპს გოლდსერვისი უფლება აქვს შეწყვიტოს ნებისმიერი განცხადების გამოქვეყნება ნებისმიერ დროს.
- 3.6 შპს გოლდსერვისი არ აგებს პასუხს საიტზე განთავსებული ინფორმაციის ან შეტყობინების დაკარგვაზე.
- 3.7 შპს გოლდსერვისი არ იძლევა გარანტიას საიტის მუდმივ და შეუფერხებელ მუშაობაზე.
- 3.8 შეთანხმების დარღვევის შემთხვევაში შპს გოლდსერვისი უფლება აქვს დაბლოკოს მომხმარებლის IP მისამართი.
- 3.9 შპს გოლდსერვისი შეუძლია შეცვალოს შეთანხმება სპეციალური შეტყობინების გარეშე (ცვლილებები აისახება „საიტის წესების“ განყოფილებაში).

4. მომხმარებლის უფლებები და მოვალეობები

- 4.1 მომხმარებელს არ აქვს ფლება გაასხვისოს მომხმარებლის სახელი და პაროლი.
- 4.2 მომხმარებელს ეკრძალება განცხადებაში რეკლამა ნებისმიერი სახის.
- 4.3 მომხმარებელი ვალდებულია იმოქმედოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის და საიტის წესების შესაბამისად და აგოს პასუხი საიტზე თავის ქმედებებზე საქართველოს კანონმდებლობით.
- 4.4 თუ მომხმარებელს უჩნდება რაიმე სახის პრეტენზია ან გაუგებრობა სხვა მომხმარებლის მიმართ, იგი წარადგენს თავის პრეტენზიას უშუალოდ მომხმარებელთან (რომლის მიმართაც აქვს პრეტენზია). შპს გოლდსერვისის დამოუკიდებლად. იგი ათავისუფლებს შპს გოლდსერვისს (ასევე მის ნებისმიერ თანამშრომელს) ყოველგვარი მოთხოვნებისგან და ნებისმიერი სახის დანახარჯის ანაზღაურებისგან.
- 4.5 საიტის გამოყენება მომხმარებელს შეუძლია ყოველგვარი გარანტიის გარეშე, და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
- 4.7 მომხმარებელი იღებს სრულ პასუხისმგებლობას საიტზე განთავსებული ინფორმაციის შესახებ, შპს გოლდსერვისი როგორც შუამავალი კომპანია აკავშირებს მას პოტენციურ მყიდველთან და აძლევს საშუალებას მიაწოდოს მას ინფორმაცია.

5. რეგისტრაცია :

- 5.1 მომხმარებელი ვალდებულია მიუთითოს რეალური მონაცემები, საკონტაქტო ნომერი და ელექტონული ფოსტის მისამართი.
- 5.2 რეგისტრაციის დროს აკრძალულია სხვა პიროვნების მონაცემების მითითება.
- 5.3 რეგისტრაციის დროს აუცილებლად მითითებული უნდა იყოს მომხმარებლის მფლობელობაში არსებული აქტიური ელ. ფოსტის მისამართი.